მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

№ 38 კვირა, 18 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 38

რედაქცია: ტფილისი, კრუშევ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საკრისთვის მიღებანი შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომერები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

გელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნოემბრის სტრიქონი. სამწლოვანი განცხადება 1 მილ. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა წინადადებით მიმართა ოსმალეთის მთავრობას საზავო მოლაპარაკებათ განახლების შესახებ.

საბერძნეთ-ოსმალეთის შორის დაიწყო საუბარი ბერძნების გაცვლა.

რურის ოლქის რკინიგზების სამხედრო კომისრად დანიშნულია რიდელი.

პოლონეთს რურის ოლქის okcუპაცია კატასტროფას უმზადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომ ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს 18 თებ. 5 ს. ქართულ წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში დანიშნულია 1920 წ. 3 თებერვალს ვერაგულათ მოკლულის კომუნისტურ პარტიის წევრის 1-ცს. კორპუსის სამხედრო კომისარის

ვლადიმერ ნესტორის-ძე მიქელაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი.

ქ ავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური სამმართველო და ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტიკური განყოფილება აუწყებს ყველა სამხედრო, პარტიულ, პროფესიონალურ საბჭოთა ორგანოებს და საქართველოს კომპარტიის წევრებს, რომ ა. წ. 18 თებერვალს საღამოს 5 საათზე წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში შესდგება

მოგონებათა სამგლოვიარო საღამო

მახნოს ფრონტზე მუხანათურად დაღუპულ წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლის, პირველი ცხენოსანი კორპუსის სამხედრო კომისარის

ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძის

შესახებ.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია მიხეილის ასული მიქელაძისა, დები ელენა და სალომე, ძმა ალექსანდრე მიქელაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს საღამოს ხუთ საათზე ქართულ წითელ არმიელთა კლუბში დანიშნულია 1920 წ. სამ თებერვალს ვერაგულათ მოკლულის პირველი ცხენოსანი კორპუსის სამხედრო კომისარის

ვლადიმერ ნესტორის-ძე მიქელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე კრებლობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიური რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—ა. მიახნიკოვი.

12 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პიუროს მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

პარტიული ყრილობის გახსნის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

ბანდიტიზმის წინააღმდეგ

ბანდიტიზმი ჯერ კიდევ არ არის ნებში საბოლოოდ განადგურებული. ის არღვევს მოსახლეობის შვიდობიანობას, ხელს უშლის ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, ძირს უთხრის ხელისუფლების და ხალხის აღმშენებლობითი მუშაობას.

რა მიზეზები იწვევენ ბანდიტიზმს, საზოგადოების რომელი ელემენტები ასაზრდოებენ მას?

ბანდიტიზმი ნაშთია და გამოძახილი ძველი, დამხობილი წყობილების.

პროლეტარულმა რევოლიუციამ ძირიანად ფესვიანად შესცვალა საზოგადოებრივ ძალების ნივთიერ-უფლებრივი მდგომარეობა. მან წაართვა მრავლებებს წინედ გაბატონებულ კლასებს. მან მოუსპო საზოგადოების ბატონებს უქმი და ნებიერი ცხოვრების საშუალება. ახალმა რეჟიმმა შექმნა ისეთი პირობები, როცა ყოველმა მოქალაქემ საკუთარი გარჯით, ბატონსაც შრომით უნდა მოიპოვოს არსებობის წყარო.

და განა ასეთ მდგომარეობას შეეგუებოდენ ისინი ვინც ჩვეული იყენენ სხვის განუკითხავ ბატონობას, სხვისი ნაოფლარის მითვისებას? ცხადად წარმოსდგება მათი უკმაყოფილება. უფრო კონკრეტულად ვინ არიან „გენერლებად“, რომელთაც მუშათა კლასიდან არ გააჩნიათ არც ერთი ჯარის-კაცი.

მაშ, ვის უნდა დაემუქროს ეს გაკოტრებული პარტია? მენშევიკები სანთლით ეძებენ და თავს უყრიან საზოგადოების ყველა უკმაყოფილო და შავი წარსულის მქონე ელემენტებს. ესენიც უკავშირდებიან მათ და ამ გვარად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი მენშევიკების და ბანდიტური შაიკების. ამ გვარად, ორიენტი ემსახურებიან ერთ მიზანს; რამენაირად ზიანი მიაყენონ მუშების და გლეხების ბატონობას, შეიფერხონ საჭირო ღონისძიებათა გატარება ცხოვრებაში, გამოიწვიონ ცხოვრების არეც-დარევა და ზურგში ლახვარი ჩასცენ მათთვის საძულველ რეჟიმს.

ამ გვარად, საზღვარი მენშევიკებსა და ბანდიტებ შორის წაშლილია, პოლიტიკური ბრძოლა გადანასკულია სისხლის სამართლის ბოროტ-მოქმედებებთან. მენშევიკები იდეურად აქეზებენ და ორგანიზაციულადაც ხელს უწყობდნენ ბანდიტებს ხალხის დასარბევათ, ეს უკანასკნელნი თავიანთ „საგმირო“ საქმეების „გამართლებას“ ჰპოულობენ მენშევიკების ლოზუნგში: „ყველა საშუალებებით ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან“.

დაუნდობელი ბრძოლა პოლიტიკურ და სისხლის სამართლის ბანდიტიზმის წინააღმდეგ, რაც ჩვენი სინამდვილის პირობებში არსებითად ერთი და იგივეა, ითვალისწინებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამკვრელ ამოცანას.

ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს. ამის მაჩვენებელია ის ცნობები ბანდიტების დახვრეტის შესახებ, რომელიც გუშინ იყო და დღესაც არის გამოქვეყნებული ჩვენს გაზეთში.

ეს პირველი გადაჭრილი ნაბიჯებია, რომლებსაც მოყვება შემდეგი ნაბიჯები, სანამ ბანდიტიზმი საბოლოოდ არ იქნება აღმოფხვრილი.

ჩვენი ამოცანაა, რომ საბჭოთა ბიწა-წყალზე ვეღარ გაჭაჭანდეს ვერც ერთი პირი, რომელიც ვერ იცნობს საბჭოთა რეჟიმს, მით უმეტეს, ვინც იარაღით ხელში იბრძვის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ ამ ამოცანას განვახორციელებთ.

ᲐᲛᲮ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

(ᲮᲐᲛᲘ ᲤᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ).

ბევრი გმირი დაეცა მსხვერპლათ რევოლიუციის ს'ადარაჯოზე.

ბევრმა რაინდმა, ოქტომბრის რევოლიუციის ძლევა-მოსილ მსვლელობით აღტაცებულმა ჰპოვა სამარე რუსეთის გაშლილ ველებზე მოხუხუნე სამოქალაქო ომში...

მაგრამ დიდი იყო მოწოდება რევოლიუციის და ცვლიდნენ მებრძოლთ მებრძოლნი, გმირებს-გმირები და ისინიც სიხარულით ებრძოდნენ წითელ არმიის რიგებს, რათა ცაში ავარდნილი ცეცხლის გრიგალი ელექტრას წისწრაფით გაექანებიათ გამარჯვების პოლიუსისაკენ, თავის ლოდიკური დასკვნისაკენ.

და შესძლეს კიდეც მუშათა და გლეხთა წიაღიდან გამოსულმა რკინის გოლიათებმა თავის გმირობით და თავ-განწირვით დაემარცხებიათ ის ყვავ-ყორნები, რომლებიც აჯანყდებოდნენ მშრომელთა მასის გმირულ გამოსვლებს და ცდილობდნენ, კვლავ დაებრუნებიათ თავისი „დაკარგული სამოთხე“, რომ კვლავ მისცემოდათ საშუალება მუშებისა და გლეხების დაბრმობისა, და განადგურებისა.

ურიცხვ მსხვერპლთა სიას, რომელნიც დაეცნენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლებში, ეკუთვნის ამხ- ვლადიმერ მიქელაძეს. ამხ. ვლადიმერ მიქელაძე, დაიბადა რევოლიუციონურ ოჯახში 1894 წელს.

მამა მისი ნესტორი თავისი რევოლიუციონურ მოღვაწეობის გამო, სისხლიან ნიკოლოზის ჟანდარმერიის მიერ შებყრობილ იქმნა და გადასახლებული, ჯერ ბაქოს გუბერნიაში და შემდეგ ცივ ციმბირში.

ნესტორის მიერ დასახულ მიზანს ენერგიულათ ჩასჭიდა ხელი მისმა შვილმა ვლადიმერმა და მანაც გადასწყვიტა მთელი თავისი ძალა და ენერგია შეეწირა მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ მოძრაობისთვის.

ამხ. ვლადიმერი საშუალო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მიდის პეტროგრადში სწავლის გასაგრძელებლათ და შედის რა იქ უმაღლეს სასწავლებელში, ებმება რევოლიუციონურ მოძრაობაში და ჯერ კიდევ 1916 წელს ეწერება წევრათ კომუნისტურ პარტიის პეტროგრადის ორგანიზაციაში.

ის ენერგიულათ ეწევა მუშაობას პეტროგრადის მუშების გასათვითცნობიერებლათ დამ ოსამზადებლათ და თანამშრომლობს მუშათა ყველა ცენტრალურ გაზეთებში. ის, აგრეთვე ენერგიულათ კიდებს ხელს უმაღლესის სწავლის დასრულებას, რათა შემდეგში უმაღლესი ცოდნის აღუფრვილმა, უფრო მეტი ნაყოფიერობით ემსახუროს მუშათა კლასს.

და მართლაც ის სასახელოთ ასრულებს პეტროგრადის უნივერსიტეტის ჯერ ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს და შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტსაც და ღებულობს წოდებას წითელ პროფესორისას. მაგრამ ამ დროს საბჭოთა რუსეთს, აღუა შემორტყმულს გარეშე თუ შინაურ კონტრ - რევოლიუციონერებისაგან, ესაჭიროებოდა გმირები, რკინის რაინდები, რომ განეღერეულიყო ის სალტე, რომელსაც მას ირგვლივ არტყამდენ. და ამხ. ვლადიმერიც სტოვებს პეტროგრადს და მთელი თავისი გატაცებით და სიყვარულით ეშვება სამოქალაქო ომში. ის დანიშნულ იქნა 1-ლ ცხენოსან კორპუსის სამხედრო კომისრათ, კორპუსს კი მეთაურობდა მეფე ნიკოლოზის ძველი გენერალი **დუმენკო**.

ბევრ, სულ ბევრ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა ამხ. **ვლადიმერმა**, რომელიც თავის გმირობით და რაინდობით მუსრს ავლებდა კონტრ-რევოლიუციონერებს და სახელს უხვევდა გმირულ წითელ არმიას.

სამოქალაქო ომში გამოჩენილ გმირობისთვის ამხ. ვლადიმერი საბჭოთა მთავრობის მიერ ორჯერ იქნა დაჯილდოვებული წითელ ორდენით.

მაგრამ შავი ფიო გული მას ირგვლივ შეკრებილ ძველი აფიცრებისა დუმენკოსი და სხვათა და აი კიდეც მათ გადასწყვიტეს ულალატო საბჭოთა მთავრობისთვის და **გადასწყვიტა** თავიდანვე შეუტყო მათ ღალატი და აი, მანაც განიზრახა ასეთ უმსგავსი ღალატის შესახებ საჩქაროთ ეცნობება მოსკოვში მთავრობისთვის.

მაგრამ არ ეძინა არც მას მტრებს დუმენკოს და სხვათ და მიგზავნილ-მოსყიდულ კაცებით ვერაგულად სიცოცხლეს უსპობენ ამხ. ვლადიმერს. ეს საჩუქარი ღალატი მოხდა 1920 წელს 3 თებერვალ ნოვოჩერკასკის ახლოს. თავზარ დამცემი იყო ამხ. ვლადიმერის სიკვდილი როგორც წითელ-არმიისთვის, ისე მთელი მუშურ-გლეხური რუსეთისათვის, და აი კიდეც მის ცხედარს რევოლიუციონურ დიდებით და პატივისცემით მიასვენებენ მოსკოვში და დიდის ამბით ასაფლავებენ წითელ-მოედანზე. მოკლეს ამხანაგი ვლადიმერი, მაგრამ მისმა მტრებმა ოდნავადაც ვერ შეძლეს ამით რაიმე ზიანი მიეყენებიათ რევოლიუციის ძლევა მოსილ მსვლელობისათვის, რომელსაც ეგრე გმირულათ შეეწირა ამხ. ვლადიმერი. გაიმარჯვა რევოლიუციამ, გაიმარჯვა მუშათა კლასმა და დღეს ვხედავთ ჩვენ, რომ საბოლოოთა გამბედაობით საბჭოთა ხელისუფლება, რაიც საშვაობას გვაძლევს ჩვენ მოვიგონოთ სამოქალაქო ომში დაღუპული გმირი ამხ. ვლადიმერი და შესაფერისათ აღვნიშნოთ მისი ხსოვნა, ხოლო წყევლა და კრულვა გაუგზავნოთ მათ ვერაგულათ მკვლელთა...

განისვენეთ ამხ. ვლადიმერ მშვიდათ...

თქვენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩა ჩვენს გულში.

პეტრე ქუთათელაძე

ამხ. ვლ. ნ. მიქელაძე

საქართველოს საგანგებო კომისიისაგან

კონტრ-რევოლიუციასთან, ბანდიტიზმთან, საბოტაჟთან და თანამდებობითი ბოროტმოქმედებასთან ბრძოლი **საქართველოს საგანგებო კომისია** აცხადებს საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასების საყურადღებოთ შემდეგს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა ერთხელ მოუწოდებდა ბანდიტებს თავი დაენებებიათ ბოროტ-მოქმედებათათვის, დაბრუნებოდენ მშე•დობიანი შრომით ცხოვრებას, ჰპირდებოდა რა ამისათვის სრულ პატიებას და წარსული მათი საქმიანობისათვის სასჯელისაგან განთავისუფლებას,—ბანდიტიზმს ბოლო არ მოეღო გამოიხატა რა უკანასკნელ დროს საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა ხშირი და ვერაგული მკვლელობებით. ა. წ. 10 თებერვალს ბანდიტური ბოროტ-მოქმედების მსვერპლი გახდენ ოზურგეთის მახლობლად მშრომელი ხალხის შვილები: ამხ. **ამხლაძე** (ქართული სამხედ-წავლო-საკადრო ათასეულის სამხედრო კომისარი), **სანიკიძე** (ამავე ათასეულის უფროსი) და **ჩუბინაშვილი** (გუნდის უფროსი).

საქართველოს საგანგებო კომისიამ თავის ა. წ. 13—14 თებერვლის სხდომაზე, გაუწია რა ანგარიში ბანდიტების შეუპერებელ ტერორისტულ მოქმედებებს, მათი მუხანათური სიკვდილობისათვის ბოლოს მოღების მიზნით—**დაადგინა** ქვემოდ—ჩამოთვლილ პირებს, როგორც მრავალჯერ აღრიცხულებს და ბანდიტიზმისათვის, მკვლელობებისათვის, ძალადობისათვის, დაწვისათვის და ტყუილებისათვის და სხვ. გასამართლებულებს, მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი—**დახვრეტა**.

ᲛᲐᲫᲕᲔᲣᲜᲔᲑᲔᲛᲘ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲗᲐ ᲡᲘᲐᲡ.

1. სლეპიანი ვენიამინ საბუღალისძე, 2. ფირალოვი ვასილი პეტრესძე, 3. გაგნიძე სიმონ ვასილისძე, 4. ლამასიძე გიგო სიმონისძე, 5. გენელიძე შალვა ბესარიონისძე, 6. შველიძე ვლადიმერი იაკობისძე 7. დურსუნ პატიფ ოღლი, 8. რეზიდ თედი ოღლი, 9. ცინცაძე მელიქსეტ სოლომონისძე, 10. მილორავა გიორგი ფილიპესძე, 11. ოსიაშვილი თედო გიოსძე, 12. ალი ახმედ ოღლი, 13. სოიუნ ოღლი იორდან კული, 14. პირ მამედ ოღლი მამედ, 15. ჩიქოვანი იოსებ დავითის ძე, იგივე ჩიკორა, 16. ზედგინიძე გიორგი დიმიტრის ძე, 17. ჭეიშვილი გრიგორი სილიბისტროს ძე, 18. ლეკვა აკაკი, 19. ჩაჩავა ალექსანდრე, 20. არჯევანიძე ამბაკო, 21. სერგბრაიკვილი გრიგორი მეზეიილის ძე, 22. მურატ სადი ზადე, 23. ადანია ზაქარია, 24. შეიკიანი ივანე, 25. ეფენდიევა ტეტრადი სამედ ოღლი, 26. სარქისოვი სურენ სარქისის ძე, 27. ტაგიევი მამედ რიზა, 28. რაფიევი აბას გაჯი მამედ გუსეინ ოღლი, 29. მელიქ—ალახვერდოვი არმენაკი ალექსანდრესძე, 30. ვართანიან არტაშეს ოგანესის ძე, 31. ჯანუქვაძე ბიქტორ პავლეს ძე, 32. როხაძე პლატონ ტატიოსის ძე, 33. სადრაძე ლომი დიმიტრის ძე, 34. კიზირია სამსონ გიორგის ძე, 35. ნაკუფტია ბიქტორ, 36. ზადანია რაქდენ, 37. სოლოკაშვილი ბაგრატ გრიგორის ძე, 38. იშხანაშვილი ივანე დავითის ძე, 39. ზაუტაშვილი ივანე ესტატეს ძე, 40. გოზალიშვილი გიორგი გაბრიელის ძე, 41. ჯაჯავაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, 42. შავერდეევი ყარამან ტალავერდის ძე, 43. გაგლოშვილი ელიოზ გაბრიელის ძე, 44. ლოსეურაშვილი ბეციწდურ მაჩხუმეს ძე, 45. გუგუნავა ამირაკ, 46. ხაჟომია გრიგოლი, 47. ხაჯარია მაქსიმე, 48. ხაჯარია გრიგოლი გიორგის ძე, 49. ფარცხვანია ილარიონ საფრონის ძე, 50 ფარცვანია გრიგოლი იულონის ძე, 51. ტოლსტაია ალექსანდრე ივანეს ასული. 52. მკრტუმიან ლევონი ვართანის ძე, 53. ჩერაიშვილი პორის ალექსანდრეს ძე, 54. აპრელოვი ანდრო სტეფანეს ძე, 55. ჩიკაშვილი ვლადიმერ ისიდორის ძე, 56. ლაბაძე სერგო ტატიოსის ძე, 57. თანდიშვილი გიორგი კუკაკოს ძე, 58. ქარცივაძე აღმედ სულეიმანის ძე, 59. ოორდანაშვილი სიმონ ივანეს ძე, 60. ზვიადაძე სოლომონ არსენის ძე, 61. დავრიშ კადირ ოღლი, 62. თეიშვილი ერასტო გაიოზის ძე, 63. აკოპოვი გრიგოლი გრიგოლის ძე, 64. ახმედ მუსტაფა ოღლი, 65. ასან ალი ოღლი, 66. აბდალაძე იოსეფ სიმონის ძე, 67. ჯანკოტაძე გრიგოლი ტეი მარადის ძე, 68. დგელაშვილი ალექსანდრე ექვთიმეს ძე, 69. კახიაშვილი ალექსანდრე ბაგრატის ძე, 70. მესტუმრე ანტონ დავითის ძე, 71. კვირტკლეტე ოღლი, იგივე რამან ოღლი, ეფუღა ხუსეინის ძე, 72. რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე, 73. დიდებაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, 74. ხადირაშვილი დავით საბაილოს ძე, 75. მაზიაშვილი გიო ტეტოს ძე, 76. ფირაშვილი ისაკი გიგის ძე, 77. კაპაიძე შიო მათეს ძე. 78. დათუაშვილი ფირუზ ბიძინას ძე, 79. ფილია ყარამან მაქსიმეს ძე, 80. ხუხუნაშვილი სამსონი ნიკოლოზის ძე, 81. იმნაიშვილი დავით ნიკოლოზის ძე, 82. გძელიძე გიორგი ოტიას ძე, 83. ქინქლაძე კასიან რომანის ძე, 84. სამსონაძე შალვა ივანის ძე, 85. გორდელაძე არსენი აფრასიონის ძე, 86. ყაჭეიშვილი ბედია ფილიპეს ძე, 87. სიხარულიძე ნიკოლოზ ივანეს ძე, 88. შარაბიძე ვლადიმერ ამბაკოს ძე, 89. თარგამაძე ილია სტეფანეს ძე. 90- ნაკაიძე ნოე სიმონის ძე, 91. თოიძე ნესტორ იზრაილის ძე. 92. ვაჩეიშვილი ბებური ბესარიონის ძე.

განაჩენი ყველას მიმართ მოყვანილია სასრულეში.

საქართველოს საგანგებო კომისია, აცხადებს რა ამას, მიმართავს მოწოდებით მშრომელ მასებს—აღმოუჩინონ მას ყოველგვარი დახმარება ბანდიტიზმის სასწრაფოდ ლიკვიდაციის საქმეში და მით საბოლოოდ მოიპოვონ მშვიდობიანი აღმშენებლობის შესაძლებლობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნიადაგზე; ამავე დროს საქ. საგანგებო კომისია უკანასკნელად აფრთხილებს ყველა ბოროტმომქმედ—ბანდიტურ ელემენტებს, რომ ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებული არიან ბანდიტიზმისა და კონტრ-რევოლიუციისათვის, გამოცხადებული არიან მძევლებათ და ამგვარი მკვლელობის განმეორების შემთხვევაში ათობით იქნებიან დახვრეტილი.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია: ᲫᲐᲜᲔᲚᲐᲫᲔ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ. ᲑᲔᲠᲘᲐ, ᲞᲐᲜᲔᲚᲐᲠᲘᲫᲔ. ᲜᲐᲜᲐᲠᲘᲫᲔ, ᲫᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

რურის ოლქის okcუპაცია

ინგლისელების შეპამვლობა.

მოსკოვი. რეიტერის სააგენტო კატეგორიულად უარყოფს ხმებს ინგლისის გადაწყვეტილების შესახებ იკისროს შუამავლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის რურის საკითხში.

რკინის-გზელთა გაფიცვა.

მოსკოვი. 17 თებერვ. „ტანის“ ცნობით რკინის-გზელთა გაფიცვა რურის ოლქში გავრცელდა მთელს ხაზზე.

ᲫᲐᲠᲘᲛᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ.

მოსკოვი. 17 თებერვ. ფრანგებმა ქალაქ გელზენკირხენი დააჯარიმეს 100 მილ. მარკით გერმანიის პოლიციელების ფრანგების 2 ჟანდარმზე თავდასხმის გამო.

რეკვიზიციები.

მოსკოვი. 17 თებერვ. რურის ოლქის ქალაქებში დაიწყო სპარგო და კერძო ავტომობილების რეკვიზიცია. ეს რეკვიზიცია უფრო გაამწვავებს რურის ისედაც ცუდ სასურსათო მდგომარეობას, რადგან სურსათი მიდიოდა იქ უმთავრესად ავტომობილებით.

ახალი სამხედრო ნაწილები.

მოსკოვი. 17 თებერვ. რურის ოლქში შედიან მოკავშირეთა ახალი რაზმები და მძიმე არტილერია. მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება.

ბოიკოტი.

მოსკოვი. 17 თებერვ. გერმანიის ხელისუფლებამ აუკრძალა ფრანგ და ბელგიელ ჟურნალისტებს რეიხსტაგში და პროვინციელ ლანდტაგებში შესვლა.

წინააღმდეგ.

მანოვერი. 17 თებერვ. ფრანგების მიერ დატუსაღებულია დორტმუნდის ობერ-ბურგომისტრი, რეიხსბანკის დირექტორი და ლანდრატის მოადგილე.

ელექტრონის ენერგიის მოუცემლობისათვის.

მანოვერი. 17 თებერვ. ბრედენეიში სახალხო სასამართლომ ბურგომისტრ ობერგაუზენ-გავენატეინს მიუსაჯა 10 წლის სატუსაღო, რკინის-გზის სადგურისათვის ელექტრონის ენერგიის მიცემაზედ უარის განცხადებისათვის.

ცდილობენ რაც შეუძლიათ.

მანოვერი. 17 თებერვ. დუისბურგში საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება სცდილობს შესწყვიტოს ქვემო-რეინში კირის შემოტანა, რათა ამ გზით შეაჩეროს ღუმელების მუშაობა.

კილის ნაბშირის წარმოებებმა გადასწყვიტეს შესწყვიტონ საფრანგეთის და ბელგიის გემებზე ნახშირის ტვირთვა.

რკინის გზების კასებმა შესწყვიტეს ფრანგებისა და ბელგიელთათვის საწყოლ ადგილების გაყიდვა. ბოიკოტის საპასუხოთ ფრანგები კეტავენ მაღაზიებს და რეკვიზიციას უშვებიან საბუთმროებს.

გერმანიის მინისტრების შესვლის აკრძალვის შესახებ.

მოსკოვი. 17 თებერვ. პასუხად საფრანგეთის ნოტისა, რომელიც უკრძალავს გერმანიის მინისტრებს რურში შესვლას, გერმანიის მთავრობა უარყოფს უცხოელ მთავრობათა უფლებას გასცეს განკარგულებანი, რომელნიც შეეხება გერმანიის მინისტრების მოქმედებას.

ლითონის ნაწარმოებთა გატანის აკრძალვის შესახებ.

მოსკოვი. 17 თებერვ. რურის ოლქიდან ლითონის ნაწარმოებთა გატანის აკრძალვისათვის გერმანიის საპროტესტო ნოტაში, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ფრანგები ვერ შესძლებენ რურის მოსახლეობის დამორჩილებას.

ახალი კომისარი.

მანოვერი. 17 თებერვ. რურის ოლქის რკინის გზების სახელმწიფო კომისრად დაინიშნა რიდელი.

ფრანგები ვერას გახდენ.

მანოვერი. 17 თებერვ. მაღაროების მუშათა და ტეხნიკურ პერსონალის წარმომადგენლებმა უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ ფრანგების მტაცებლურ პოლიტიკას და რომ ფრანგების ცდა გაამწვავონ ურთიერთობა მუშებსა და მწარმოებლებს შორის სრულიად უშედეგოდ დამთავრდა.

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲗᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ.

ბორდო. 17 თებერვ. მოკავშირეთა უმაღლეს კომისიამ გადასწყვიტა აიღოს თავის განკარგულებაში დაკავებულ ტერიტორიის საბაჟო ბიუროები. რამოდენიმე საბაჟო ბიურო დახურულ იქნება. მოსამსახურეთა პერსონალი, რომელიც წინააღმდეგობას გასწევს დათხოვნილ იქნება.

საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელს დაედება ერთგვარი საბაჟო გადასახადი, რომელიც შეადგენს საქონლის ღირებულების 10 პროცენტს. გერმანიის მთავრობის მიერ დაწესებული საბაჟო ტარიფი კი მოხსნილ იქნება. შესაძლებელია საბაჟო გადასახადი პირველ მოთხოვნილების საგნებზე შემოკლებულ იქნეს.

რურის გარშემო

რეინის ოლქი.

მოსკოვი. 17 თებ. კომბლენციდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გერმანიაში საქონლის გატანის აკრძალვა გაავრცელონ აგრეთვე რეინის ოლქზედაც.

შემოწირულებათა შემკრები კომიტეტი.

მანოვერი. 17 თებ. შემოწირულებათა შემკრები კომიტეტის პირველ სხდომაზე რეიხს კანცლერმა განაცხადა, რომ რურის მცხოვრებთა სასარგებლოთ ჯერ-ჯერობით შეკრებილია 3 მილიარდი მარკა. მომარაგების მინისტრმა აცნობა კომიტეტს, რომ დაკავებულ ოლქში 6 თებერვლამდე გაგზავნილია 400 ვაგონი სურსათი.

მიემგზავრებიან მდგომარეობის გამოხარკვევად.

მანოვერი. 17 თებ. ინგლისის „ლაბურ პარტიის“ 4 დელეგატმა ლონდონში აიღეს ნებართვები რურის ოლქში გასამგზავრებად და მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამერიკელი კორესპოდენტები საფრანგეთის შესახებ.

მანოვერი. 17 თებ. ამერიკელ გაზეთის კორესპოდენტი მეიერი ამტკიცებს, რომ ფრანგებმა დიდი ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, როდესაც პროვოკაციის ბადეში გაბვეს გერმანიის პოლიცია, რომელიც რურის ოლქში იყო ერთად-ერთი გარანტია წესრიგისა და შვიდობიანობისა. ყველა საზღვარ-გარეთელ კორესპონდენტების აზრით გერმანიის პოლიცია ტაქტიკურად და თავდადებულად მოქმედებდა.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

სამხედრო გემების გაყვანაზე უარის განცხადების შესახებ,

ანგორა. 14 თებერვ. გაზეთი „უნი გიუნ“-ი, ეხება რა მოკავშირეთა მიერ სმირნიდან და იზმიდიდან სამხედრო გემების გაყვანაზე უარის განცხადებას—სწერს: „ოსმალეთს სურს სამართლიანი ზავი, მაგრამ თუ მან ვერ მიაღწია, იძულებული იქნება დაარღვიოს მუდანიის დროებითი ზავი, რომელიც თანდათან ემსგავსება მუდროსის დროებით ზავს.

თუ მშვიდობიანობა დამყარდა—ხან. მოკლე იქნება.

ანგორა. 14 თებერვ. ტრაპიზონის გაზეთი „ისტიკბალ“-ი სწერს: „ბევრია იმის ნიშნები, რომ ზავი დამყარდება, მაგრამ, ზავის პირობები ვერ უზრუნველყოფენ სრულ თავისუფლებას და ნაციონალურ დამოუკიდებლობას. ეს ზავი არ იქნება ხანგრძლივი, რასაც ამტკიცებს ვერსალის ზავი საფრანგეთის პოზიცია ოსმალეთანაც ორპირულია, გამცემლური და გულწრფელობას მოკლებული.

გაზეთი „ენიგენე“ მდგომარეობის შესახებ.

ანგორა, 14. თებ. მეჯლისის მიერ მიღებულია კანონი პიროვნების დაცვის შესახებ, რომელიც ადმინისტრატიულად უკანონო დატუსაღების გამო დამნაშავეს სჯის 1-დან 3 წლამდე ციხეში დაპატიმრებით.

მოლაპარაკებათა განახლებისათვის წინადადების მიცემა.

ტრაპიზონი. 12 თებ. გაზეთი „ისტიგბალი“ სწერს: „კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ მყოფმა ინგლისის წარმომადგენელმა და უმაღლესმა კომისარმა გარინგტონმა კონსტანტინოპოლში ისმეტ-ფაშას ჩასვლის შემდეგ ინგლისის მთავრობის სახელით წინადადება შეიტანა სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების შესახებ.

სამხედრო ტყვეების გაცვლა:

ტრაპიზონი. 12 თებ. ლოზანას კონფერენციის თანახმად საბერძნეთ-ოსმალეთს შორის სამხედრო ტყვეების გაცვლა დაიწყო. იანვრიდან გამოვიდა ტყვე ოსმალოთა პირველი ეშელონი.

საბერძნეთის ჯარების გაყვანა.

პანოვერი. 16 თებერვ. საფრანგეთში მყოფმა საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა განუცხადა ინგლისელ გენერალს გარინგტონს, რომ მან გაიყვანა საბერძნეთის ჯარები მარიცის მარცხენა სანაპიროები

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՐՑԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀՀ ԱԺ ԱՐՏԱՀԵՐԹ ՆԻՍՏԸ

Երեկ, հունվարի 17-ին, ժամը 5-ին կեսօրին, ՀՀ Ազգային ժողովի նախագահ Ա. Խատիսյանի նախագահությամբ, տեղի ունեցավ ՀՀ ԱԺ արտահերթ նիստը։

Նիստին ներկա էին 72 պատգամավորներ։

Նիստի օրակարգով նախատեսված էր քննարկել ՀՀ կառավարության հետևյալ նախագծերը.

1. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև առևտրական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

2. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև ֆինանսական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

3. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև ապրանքների փոխադրման մասին համաձայնագրի նախագիծը։

4. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև փոստային և հեռագրական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

5. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև երկաթուղային հաղորդակցության մասին համաձայնագրի նախագիծը։

6. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև ռազմական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

7. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև ռազմական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

8. Հայաստանի Հանրապետության և Ռուսաստանի Դաշնային Սոցիալիստական Խորհրդային Հանրապետության միջև ռազմական հարաբերությունների մասին համաձայնագրի նախագիծը։

Նիստի օրակարգի հաստատումից հետո ելույթ ունեցավ ՀՀ ԱԺ նախագահ Ա. Խատիսյանը, որը հայտնեց, որ ՀՀ կառավարությունը հրաժարվում է նիստում ներկայացնել վերոհիշյալ նախագծերը, քանի որ դրանք դեռևս ամբողջությամբ չեն մշակվել։

Ելույթ ունեցավ նաև ՀՀ ԱԺ պատգամավոր Ա. Ղազարյանը, որը հայտնեց, որ ՀՀ կառավարությունը պետք է հրաժարվի

სასურ. გაღასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით, დასავლეთ საქართველოს შვიდს მაზრაში თებერვლის 17-საათის 1923 წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში აკრეფილია 253.399 ფუთი სიმინდის ერთეული, ანუ 85,8 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რომელს მაზრაში რამდენია აკრეფილი?

ქვემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რომელს მაზრას რამდენი ფუთი სიმინდის ერთეული აქვს შეწერილი, რამდენი ფუთია აკრეფილი თებერვლის 17-საათის და ეს აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენს პროცენტს შეადგენს.

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
ზოგიანის	40,500	40,500	100,0
ჭიათურის	15,000	14,867	99,1
ლანჩხუთის	37,500	33,782	9 1,1
ოზურგეთის	67,500	57,375	85,6
ქუთაისის	60,000	50,779	84,6
ბაღდათის	7,500	6,052	80,7
ხონის	67,500	50,044	74,1
სულ დასავლეთ საქართველოში	295,500	253,399	85,8

ამ რიგად დასავლეთ საქართველოში ასაკრეფი დარჩა 14,2 პროცენტი შეწერილ გადასახადისა, ანუ 42.101 ფუთი სიმინდის ერთეული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თემებში ბევრად მეტია იმაზე შეკრებილი, რასაც ოფიციალური ცნობა გადმოგვცემს, მაგრამ მიმ[illegible]ჰუნქტებში აკრეფილი ჯერ არ არის ცოდის ამინდისა და უგზოობის გამო[illegible]ნ ცხადი ხდება, რომ ასაკრეფი დარჩა არა 42.100 ფუთი, არამედ [illegible]ნ ნაკლები.

კამპანიის მსვლელობა.

ზუგდიდის მაზრა. როგორც სამაზრო სასურსათო [illegible]ი იტყობინება, თებერვლის 5-დან 14-მდე 1922 წლის სასურსათო [illegible]ხადის ანგარიშში შეწერილია 2. 911 ფუთი სიმინდის ერთეული. [illegible]ასახე დარჩა 9.221 ფუთი, ანუ 15,4 პროცენტი შეწერილ გადასახადის[illegible].

ამას გარდა შემოვიდა: გადასახადის ნარჩენი—522 ფუთი და წინავადასახადი—78 ფუთი.

რაჭის მაზრა. მაზრაზე შეწერილი გადასახადი თითქმის მთლად არის აკრეფილი. ნაწილი აკრეფილ გადასახადისა საბაზისო საწყობებში ჯერ არ არის მიტანილი და თემებში ინახება. ორნი რაიონში გადასახადი სრულად არის შეკრეფილი, მაგრამ მიღებულია ზომები გადასახადის აკრეფის დასაჩქარებლად.

ეკონომიური ცხოვრება

ბაზრობა ტფილისის ბაზარზე.

17 თებერვალი.

